ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2018 წლის ---- ---------- ქ. ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა # ------

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, წინამდებარე განკარგულების დანართში მითითებული, 5250,0 (ხუთი ათას ორას ორმოცდაათი) ლარის საერთო საბალანსო ღირებულების სატრანსპორტო საშუალებები - ავტობუსები, შემდგომში ფოთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

2. ეთხოვოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული ქონების მიღებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. #30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულიკო თებიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2018 წლის ___ _____
N____ განკარგულებისა

#	სატრანსპორტო საშუალება (ტიპი/მარკა)	სარეგისტრაციო ნომერი	საიდენტიფიკაციო ნომერი	გამოშვების წელი	საბალანსო ღირებულება (ლარი)
1	ავტობუსი "ZONDA BUS"	ASI 957	L YJD6CFB18W001807	2008	1050
2	ავტობუსი "ZONDA BUS"	ASI 958	L YJD6CFB98W001800	2008	1050
3	ავტობუსი "ZONDA BUS"	ASI 961	L YJD6CFB08W001796	2008	1050
4	ავტობუსი "ZONDA BUS"	TUS 269	L YJD6CFB98W001814	2008	1050
5	ავტობუსი "ZONDA BUS"	TUS 271	L YJD6CFB48W001820	2008	1050
ჯამი					5250

„დამტკიცებულია“

თვითმმართველი ქალაქის _ ბათუმის
საკრებულოს განკარგულება
2010 წლის 29 ოქტომბერი №129

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2018 წლის 13 ნოემბერს წარედგინა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 12 ნოემბრის №5/62811 (N31096/25) წერილი, რომლითაც მოთხოვნილია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 ერთეული ავტობუსის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ფოთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარეობს მუნიციპალური ავტობუსების პარკის განახლების პროცესი, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ფოთის მუნიციპალიტეტისათვის ხელშეწყობის მიზნით, ძველი ავტობუსების სახელმწიფოსათვის გადაცემა. შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიცპალიტეტის მერის ბრძანებით განხორციელდა შპს ბათუმის „ავტოტრანსპორტი“-ს კაპიტალში რიცხული „ZONDA BUS” მარკის 5 ერთეული ავტობუსის კაპიტალიდან ამოღება.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია სახელმწიფოსათვის ავტობუსების საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ფოთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:
ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან
საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო;
შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე

KA021738320759318

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/62811

12 / ნოემბერი / 2018 წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 09.11.2018წ. N02/922 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - 5 (ხუთი) ერთეული ავტობუსის სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

გიგზავნით, ზემოხსენებულ წერილს. გთხოვთ, განიხილოთ ზემოაღნიშნული მოძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადმოცემის საკითხი, შემდგომში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი

ირაკლი შენგელია

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია
Georgia
Poti Municipality City Hall

KA000057513595718

4400, ქალაქ ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N 12
ტელ: +995(493) 22-12-95 ელ. ფოსტა: info@poti.gov.ge

12, David Agmashenebeli str, Poti, 4400,
Tel: +995(493) 22-12-95, E-mail: info@poti.gov.ge

№ 02/922

09 / ნოემბერი / 2018 წ.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თავმჯდომარეს, ქალბატონ ეკატერინე სისაურს

ქალბატონო ეკატერინე,

გაცნობებთ, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გააჩნია 6 (ექვსი) ავტობუსი, რომლიდანაც შემდგომ ექსპლუატაციას არ ექვემდებარება 2 (ორი) ZONDA BUS-ის მარკის ავტობუსი და მოქმედი კანონდებლობით დადგენილი წესით მიმდინარეობს მისი ელექტრონული აუქციონით პრივატიზაციის პროცესი, ხოლო დარჩენილი 4 (ოთხი) ავტობუსი (2 ZONDA BUS და 2 ISUZU BOGDAN) ტექნიკურად არასახარბიელო მდგომარეობაშია, ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრთა გადაყვანას.
ავტობუსების არსებული რაოდენობა არ არის საკმარისი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სრულფასოვანი მომსახურებისათვის, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს მათ სამართლიან უკმაყოფილებას.
ამასთან, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს ამ ეტაპზე არ გააჩნია შესაბამისი ფინანსური რესურსი ახალი ავტობუსების შესყიდვისათვის.
როგორც ცნობილია, 2018 წელს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა ახალი ავტობუსების შესყიდვა და ძველის ჩანაცვლება.
მოგმართავთ თხოვნით, დასვათ საკითხი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩანაცვლებული სატრანსპორტო საშუალებებიდან 5 (ხუთი) ერთეული სატრანსპორტო საშუალება - ავტობუსის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადმოცემასთან დაკავშირებით, ხოლო მუნიციპალური ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შემდგომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 113-ე მუხლის შესაბამისად, გადმოგვცეთ ხსენებული 5 (ხუთი) ერთეული სატრანსპორტო საშუალება - ავტობუსი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, დამატებითი ქონების სახით.
წინასწარ გიხდით მადლობას თანადგომისათვის.

პატივისცემით,

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გოჩა კურდღელია

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახური

N 14480-25 15/11/2018

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს
დირექტორს ბადრი ფარტენაძეს

ბატონო ბადრი,

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2018 წლის 13 ნოემბერს შემოსულ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს N5/62811 (N31096/25) კორესპონდენციაზე თანდართულ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 09 ნოემბრის №02/922 წერილში (თან ერთვის) მითითებული ავტობუსების საიდენტიფიკაციო მონაცემები და საბალანსო ღირებულებები.

დანართი: 2 ფურცელი.

პატივისცემით,

ეგარსლან ლომაძე

სამსახურის უფროსი

6010 ლუკა ასათიანის ქ. №25 რეკ: 0 (422) 24 63 15

შპს ბათუმის ავტოტრანსპორტი
BATUMI AUTOTRANSPORT LTD

დ 02- 199 20.11.2018 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსს
ბატონ ეგარსლან ლომაძეს

ბატონო ეგარსლან,

თქვენი 2018 წლის 15 ნოემბრის № 14480-25 წერილის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ინფორმაციას შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის" ბალანსზე რიცხული "ZONDA BUS" ავტობუსების შესახებ:

1. ავტობუსი „ZONDA BUS" გამოშვების წელი 2008 წელი, სარეგისტრაციო ნომერი ASI 957, საიდენტიფიკაციო ნომერი L YJD6CFB18W001807, საწყისი ღირებულება 77397(სამოცდაჩვიდმეტი ათას სამასოთხმოცდაცხრამეტი) ლარი, საბალანსო ღირებულება 1050 (ერთი ათას ორმოცდაათი) ლარი.
2. ავტობუსი „ZONDA BUS" გამოშვების წელი 2008 წელი, სარეგისტრაციო ნომერი ASI 958, საიდენტიფიკაციო ნომერი L YJD6CFB98W001800, საწყისი ღირებულება 87490(ოთხმოცდაშვიდი ათას ოთხასოთხმოცდაათი) ლარი, საბალანსო ღირებულება 1050(ერთი ათას ორმოცდაათი) ლარი.
3. ავტობუსი „ZONDA BUS" გამოშვების წელი 2008 წელი, სარეგისტრაციო ნომერი ASI 961, საიდენტიფიკაციო ნომერი L YJD6CFB08W001796, საწყისი ღირებულება 77397(სამოცდაჩვიდმეტი ათას სამასოთხმოცდაცხრამეტი) ლარი, საბალანსო ღირებულება 1050 (ერთი ათას ორმოცდაათი) ლარი.
4. ავტობუსი „ZONDA BUS" გამოშვების წელი 2008 წელი, სარეგისტრაციო ნომერი TUS 269, საიდენტიფიკაციო ნომერი L YJD6CFB98W001814, საწყისი ღირებულება 87490(ოთხმოცდაშვიდი ათას ოთხასოთხმოცდაათი) ლარი, საბალანსო ღირებულება 1050 (ერთი ათას ორმოცდაათი) ლარი.
5. ავტობუსი „ZONDA BUS" გამოშვების წელი 2008 წელი, სარეგისტრაციო ნომერი TUS 271, საიდენტიფიკაციო ნომერი L YJD6CFB48W001820, საწყისი ღირებულება 77397(სამოცდაჩვიდმეტი ათას სამასოთხმოცდაცხრამეტი) ლარი, საბალანსო ღირებულება 1050 (ერთი ათას ორმოცდაათი) ლარი.

დანართი 1 ფურცელი

პატივისცემით,

შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს
დირექტორი ბადრი ფარტენაძე